



ბრძანება:ბ14. 14250135

თარიღი:13/01/2025

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“-სთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №55 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი, თანახმად დანართი 3-სა.

დ) „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამით (ღონისძიება „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის

რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის ფორმა, თანახმად დანართი 4-სა;

ე) მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების ფარგლებში სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარებასთან დაკავშირებით სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი დაწესებულებისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. წინადადებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის [ინტერნეტგვერდზე \(www.batumi.ge\)](http://www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2025 წლის ____ იანვრის
№ _____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების
შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25)
აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“.

2. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების მიზანია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის მიერ რეაბილიტაციის კურსის ჩატარება. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2025 წლის იანვრიდან 2025 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული 7 წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით, ამასთან, 7 წლის შესრულებამდე დარჩენილი უნდა იყოს სულ მცირე 8 თვე).

5. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი, განვითარების ზოგადი (პერვაზიული) აშლილობა, მეტყველების განვითარების სპეციფიკური აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა და სხვა) მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები; დიაგნოზის შემთხვევაში, როგორცაა: R62.0 განვითარების ეტაპის დაყოვნება (R62.8 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების სხვა დარღვევები, R62.9 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური დარღვევა დაუზუსტებელი).

სრულად (100%) დაფინანსდებიან ბენეფიციარები, რომელთაც გააჩნიათ სტატუსი:

1. შშმ სტატუსი მქონე ბავშვები;
2. რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები;
3. მინდობით აღზრდაში ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები, თუკი ამ დაწესებულების მიერ არ ხდება ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება;
4. მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე ბავშვები;
5. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილები;
6. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილები;
7. შშმ სტატუსის მქონე პირის შვილები;

8. ბავშვები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

9. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;

10. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები (ოთხი და/ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი). ხოლო სხვა კატეგორიის ბენეფიციარები ისარგებლებენ 50 პროცენტის თანაგადახდით.

ასევე სრულად (100%) დაფინანსდებიან დაუნის სინდრომის მქონე და ცერებრალური დამბლის მქონე ბენეფიციარები;

სრულ (100%) დაფინანსებას მიიღებენ ასევე კომბინირებული დიაგნოზის მქონე პირებიც ანუ რამდენიმე(ორი და მეტი) დიაგნოზის მქონე პირები.

5 წლის შესრულების თვის ჩათვლით მომსახურებაში ჩართული ყველა ბენეფიციარის-თვის, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს. 5-დან 7 წლის შესრულების თვის ჩათვლით ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს ასევე 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) მეორე წლის (შემდეგი თორმეტი თვის) განმავლობაში – 6-ს.

ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება ამ პროგრამის ამოქმედებამდე, მ.შ. წინა წლებში მომსახურებაში ჩართულ ბენეფიციარებზეც.

ბენეფიციარების მხრიდან მომართვის შემთხვევაში მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს ბუნებრივ გარემოში (საბავშვო ბაღი, სახლის პირობებში და ა.შ.)

6. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტის პერსონალს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში (ადრეული ასაკის (36 თვემდე)) ბავშვებთან;

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება).

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე:

ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 302659; მარინე რუხაძე.

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2025 წლის ____ იანვრის
№ _____ ბრძანებით

**„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების ვაუჩერის გაცემისა
და გამოყენების წესი**

ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით (სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს რეაბილიტაციის კურსის საჭიროება; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; მშობლის ან წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); საჭიროებისას სხვა ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთის ასლი) მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს.

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში განმცხადებელს ეძლევა შესაბამისი განმარტება და ვადა საჭირო საბუთების წარმოსადგენად.

ქვეპროგრამის არაბენეფიციარებს წერილობით ეცნობება დახმარებაზე უარის შესახებ. ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს რეაბილიტაციის კურსი დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- მრავალშვილიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სხვა 18 წლამდე ასაკის დამბების დაბადების მოწმობების ასლები - არსებობის შემთხვევაში).

ბენეფიციარის მშობელმა ან წარმომადგენელმა უნდა მიიღოს ვაუჩერი 6 თვემდე პერიოდში ერთჯერ, ხოლო მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში უნდა წარმოადგინოს ყოველთვიურად.

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2025 წლის ____ იანვრის
№ _____ ბრძანებით

**„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის შესრულების, აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესი**

ზოგადი ნაწილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ (შემდგომში - შემსყიდველი) „ახალ-
შობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგ-
რამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების
მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“ ღონისძიების განხორციელებაში
მონაწილე დაწესებულებას (შემდგომში - მიმწოდებელი) ბენეფიციარებისათვის გაცემული
სოციალური ვაუჩერის საფუძველზე მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდება წინამდებ-
ბარე წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება განხორციელდება
2025 წლის „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და
რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის
განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“
ღონისძიების შესაბამისად.

შესრულებულ მომსახურებად ჩათვლება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება.
მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ასანაზღა-
ურებლად შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) წერილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსის სახელზე ვაუჩერით მიწოდებული მომსახურების ანაზღაურე-
ბის შესახებ;
- ბ) ორ ეგზემპლარად შევსებული ანგარიშ-ფაქტურა (რომელზეც მითითებულია
მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების მოცულობა);
- გ) შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი;
- დ) შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტი;
- ე) სოციალური ვაუჩერის ასლი.

აუცილებელია!

შემსყიდველთან წარდგენილი დოკუმენტების ასლი ინახებოდეს მიმწოდებელთან.

შემსყიდველის მიერ არ დაფინანსდება შემდეგი შემთხვევები, თუ:

- 1. არ არის წარმოდგენილი ვაუჩერის ასლი.
- 2. დიაგნოზი არ დასტურდება სამედიცინო ბარათში არსებული ჩანაწერებით.
- 3. ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები არ
ჩატარებულა.

მოსარგებლისათვის გაცემული არამატერიალური ვაუჩერის გაუქმების საფუძ-
ველია:

ა) მოსარგებლის მიმწოდებელთან გამოუცხადებლობა, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ გაცემულ ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე თანხმობაში მითითებულ ვადის განმავლობაში;

ბ) თვეში განსაზღვრული ვიზიტების რაოდენობის 50%-ის და მეტის გამოუყენებლობა ორი თვის მანძილზე.

არამატერიალიზებული ვაუჩერი არ უქმდება, თუ:

ა) გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობით (რაც დასტურდება ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით);

ბ) გაცდენა გამოწვეულია მოსარგებლის აქტიური სოციალური სტატუსის ხელშეწყობის მიზეზით (კურორტული დასვენება, კულტურული, შემეცნებითი და სპორტული გასვლები), მაგრამ არაუმეტეს, 2 თვის ვაუჩერის პროპორციული სენსების გაცდენა წლის განმავლობაში (აღნიშნული, მიმწოდებლის მიერ აღინიშნება საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენისას);

გ) გაცდენას მიზანშეწონილად მიიჩნევს მიმწოდებელი (ამასთან, გაცდენის დასაბუთება უნდა განახორციელოს მიმწოდებელმა ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წერილობითი მომართვით, რომელსაც თან დაერთვება მშობლის ახსნა-განმარტებითი ბარათი);

დ) გაცდენა გამოწვეულია დაწესებულების ფუნქციონირების დროებითი შეჩერების გამო (ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე მინიმუმ, ერთი თვით ადრე, წერილობით აცნობოს მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ქვეპროგრამის განმახორციელებელს).

მოსარგებლის ქვეპროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, მისი ქვეპროგრამაში განმეორებით ჩართვა ხორციელდება ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული შემთხვევები დადგენილი წესით დაფიქსირდება სახელშეკრულებო ვალდებულებების ინსპექტირების დროს და მათი ღირებულება ექვემდებარება დაწესებულების მიერ შემსყიდველისათვის დაბრუნებას.

ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა ასახული უნდა იყოს პაციენტის სამედიცინო ბარათში.

სარეაბილიტაციო კურსის არასრულად ჩატარების შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველისაგან მოითხოვს მხოლოდ გაწეული ფაქტიური ხარჯის ანაზღაურებას, მაგრამ არა უმეტეს ვაუჩერში დაფიქსირებული ასანაზღაურებელი თანხისა.

აუცილებელია სამედიცინო დოკუმენტაციაში ინახებოდეს ბენეფიციარის დაბადების მოწმობის, მშობლის ან წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები (ან სხვა დოკუმენტი, რომელითაც შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება), შშმპ - სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება-ჩაბარება და ინსპექტირება განხორციელდება:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტების (ანგარიშ-ფაქტურა, შესრულებული მომსახურების ჩამონათვალი) მონაცემთა კომპიუტერულ-პროგრამული დამუშავების საფუძველზე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილ პირებს შორის შესაბამისი აქტის გაფორმებით.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების ინსპექტირებისას დაწესებულება ვალდებულია ინსპექტირების ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ქვეპროგრამის

ბენეფიციარის მკურნალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო, სტატისტიკური თუ ფინანსური ინფორმაცია.

კერძო ნაწილი

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის (დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და სხვა) რეაბილიტაციის კურსის მიწოდება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება:

გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, ბავშვთა ცერებრალური დამბლის, აუტიზმის, დაუნის სინდრომი და სხვა პათოლოგიის მქონე) 7 წლამდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით, ამასთან, 7 წლის შესრულებამდე დარჩენილი უნდა იყოს სულ მცირე 8 თვე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში და ვაუჩერის გაცემის მომენტში 2025 წლის იანვრის მდგომარეობით და არ არიან ჩართული სხვა მსგავს სახელმწიფო (საქართველოს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების) პროგრამებში).

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები (ხუთი და მეტი შვილი).

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მრავალშვილიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სხვა 18 წლამდე ასაკის დამბების დაბადების მოწმობების ასლები) არსებობის შემთხვევაში.

ბენეფიციარის მშობელმა ან წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი.

ყოველთვიურად თითოეულ პაციენტს დაუფინანსდება არაუმეტეს 8 სეანსისა. სეანსის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ ერთ აკადემიურ საათს (45 წუთი.)

მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს პირისპირ და დისტანციურად. პირისპირ სერვისის მიღების შემთხვევაში ერთეულის ფასი შეადგენს 22 ლარს, ხოლო დისტანციური სწავლებისას - 15,40 ლარს.

მომსახურება მოიცავს:

ა) ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა (მათ შორის დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა,

აუტიზმი) ადრეული დარღვევების იდენტიფიკაცია, უნარების განვითარება და სოციალურ ინტეგრაციაში ხელშეწყობა მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი) მომსახურების უზრუნველყოფა არაუმეტეს თვეში 8-ჯერ;

ბ) სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მხოლოდ ინდივიდუალური მომსახურება და მომსახურების უმეტესი წილის ბუნებრივ გარემოში მიწოდება;

(საბავშვო ბაღი, სახლის პირობები და ა.შ.)

გ) თითოეულ ბავშვზე განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, მოტორიკასა და კომუნიკაციურ უნარებზე მუშაობა;

დ) 15 (თხუთმეტი) დღიანი ტრენინგ-სემინარების ჩატარება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პროგრამაში ჩართული ბავშვების მშობლებისა და ახლობლებისათვის წელიწადში ორჯერ.

ზოგად და კერძო ნაწილებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კერძო ნაწილის შესაბამის განმარტებას.



განაცხადი №

დანართი 4
დამტკიცებელია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2025 წლის ___ იანვრის
№ _____ ბრძანებით

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამით („ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე

დაწესებულების რეკვიზიტები	
დაწესებულების სრული დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი:
იურიდიული მისამართი	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:
ფაქტობრივი (მომსახურების მიწოდების) მისამართი	
ქალაქი/მუნიციპალიტეტი:	მისამართი:
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები	ელექტრონული ფოსტა
საბანკო რეკვიზიტები	
ბანკის კოდი:	ანგარიშის ნომერი:

დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი, გვარი:	პირადი ნომერი:
პირადი ტელეფონის ნომერი (მობილური):	
პირადი ელექტრონული ფოსტა:	

ხელმოწერა

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)



ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

..... 2025 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის სახით (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ____ იანვრის № _____ ბრძანების საფუძველზე) და მეორეს მხრივ _____ (ს/კ/პ/ნ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში წარმომადგენლის _____ (პ/ნ _____) სახით, ვდებთ შეთანხმებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. სამართლებრივი საფუძვლები და საგანი

2.1. ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №55 დადგენილება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამა „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“; „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება“-სთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ____ იანვრის N _____ ბრძანება.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის (შემდგომში „ბენეფიციართა“) რეაბილიტაციის მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

3. ძირითადი დებულებები

3.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს ბენეფიციართა რეაბილიტაციის კურსის ჩატარება ჩატარება 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის.

მომსახურება გაეწევა 7 წლამდე ასაკის, ქ. ბათუმში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ ბავშვებს, შემდეგი პათოლოგიით: დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა,

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

აუტიზმი და სხვა. მომსახურეობა გაეწევათ იმ ბავშვებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით. ყოველთვიურად, სპეციალისტთა გუნდის ერთი ან რამდენიმე პროფესიონალი (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მომსახურების გაწევა, რომლის მიზანია ბავშვის განვითარების სფეროების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური, ემოციური, კომუნიკაცია, ადაპტური ქცევა) სტიმულირება, მშობელთა ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდა, მხარდაჭერა, ბავშვის განვითარების პროცესში ჩართვა/განათლება. საჭირო პროფესიონალების ჩართულობა და ჯერადობა განისაზღვრება შეფასებიდან გამომდინარე და ასახულია ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ გეგმაში.

შემდეგი დიაგნოზის შემთხვევაში, როგორცაა R62.0 განვითარების ეტაპის დაყოვნება სრულად (100%) დაფინანსდებიან ბენეფიციარები, რომელთაც გააჩნიათ სტატუსი:

1. შშმ სტატუსი მქონე ბავშვები;
2. რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები;
3. მინდობით აღზრდაში ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები, თუკი ამ დაწესებულების მიერ არ ხდება ამ პრ. ოგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება;
4. მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე ბავშვები;
5. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილები;
6. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილები;
7. შშმ სტატუსის მქონე პირის შვილები;
8. ბავშვები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
9. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
10. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები (ოთხი და/ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი), ხოლო სხვა კატეგორიის ბენეფიციარები ისარგებლებენ 50 პროცენტის თანაგადახდით.

სრულ (100%) დაფინანსებას მიიღებენ ასევე კომბინირებული დიაგნოზის მქონე პირებიც ანუ რამდენიმე (ორი და მეტი) დიაგნოზის მქონე პირები.

5 წლის შესრულების თვის ჩათვლით მომსახურებაში ჩართული ყველა ბენეფიციარისთვის, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს. 5-დან 7 წლის შესრულების თვის ჩათვლით ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს ასევე 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) მეორე წლის (შემდეგი თორმეტი თვის) განმავლობაში – 6-ს. ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება ამ პროგრამის ამოქმედებამდე, მ.შ. წინა წლებში მომსახურებაში ჩართულ ბენეფიციარებზეც.

3.2. მომსახურების მიმღებ პირთა (ბენეფიციართა) განსაზღვრას ახორციელებს შემსყიდველი, ამ პირებზე ვაუჩერის გაცემით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია 3.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურება მიაწოდოს ბენეფიციარს ვაუჩერის საფუძველზე.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს უფლებამოსილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს ან

სხვა პირს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მომსახურების მიწოდებაზე.

4. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური, ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან **2025 წლის 18 დეკემბრის** ჩათვლით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

4.3. ყოველთვიურად თითოეულ პაციენტს დაუფინანსდება არაუმეტეს 8 სეანსისა. მეცადინეობები ჰიბრიდული წესით: პირისპირ და დისტანციურად. პირისპირ სერვისის მიღების შემთხვევაში ერთეულის ფასი შეადგენს 22 ლარს, ხოლო დისტანციური სწავლებისას - 15,4 ლარს.

4.4. შემსყიდველი მიმწოდებელს ბენეფიციარისთვის გაწეული მოსახურების სანაცვლოდ უხდის საზღაურს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ____ იანვრის №_____ ბრძანების შესაბამისად.

4.5. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ალექსანდროვა, ხოლო მისი არყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ ფეტქიძე.

5.2. ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი საჩივრის შესწავლის ან/და ახლად გამოვლენილი გარემოების ნიადაგზე შემსყიდველი უფლებამოსილია მიავლინოს მიმწოდებელთან თავისი წარმომადგენელი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლისა და მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირების მიზნით ხელშეკრულების ვადის მოქმედების ამოწურვის შემდგომაც;

5.3. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები;

5.4. წინმდებარე ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ხელშეწყობის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. (იმ

შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი);

5.4.2. წინამდებარე ხელშეკრულების და ქვეპროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებისას აღმოუჩინოს შემსყიდველის წარმომადგენლებს სათანადო დახმარება;

6. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურების შესრულებიდან არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი, რომელშიც მითითებულია ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი, მოცულობა და ღირებულება, სამედიცინო ვაუჩერის ასლი.

6.3. დეკემბრის თვეში გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს არა უგვიანეს 2025 წლის **22 დეკემბრისა**. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაადო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, მიმწოდებელი ჯარიმის სახით იხდის შეუსრულებელი ვალდებულების (სამედიცინო მომსახურების ღირებულების) 1 %-ს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში;

8.2. ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობის (პირობების) დარღვევის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტით, მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს ქვეპროგრამით შესრულებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურების გამწვევს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით დადგენილ ვადებში ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს თითოეული შემთხვევის ღირებულების 1-% ოდენობით.

8.5. მიმწოდებელი შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია აღუდგინოს ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოთხოვნილი თანხები.

8.6. ჯარიმა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხების მიმწოდებლისათვის ან/და ბენეფიციარისათვის დაბრუნებისაგან.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.2. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

9.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

9.7. მომსახურების გამწვევი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ____ იანვრის N_____ ბრძანებას და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ორგანო

მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25

ს/კ 245576826;

ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ: TRESGE22

ანგ. №GE24NB0330100200165022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის მოადგილე ლელა სურმანიძე

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: